საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №_66_

2011 წ. „21“ _06_

ქ. თბილისი

შპს - მახინჯაურის ლიცეუმისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

შპს - მახინჯაურის ლიცეუმის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს - მახინჯაურის ლიცეუმი (საიდენტიფიკაციო კოდი: 248417896) აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

2. შპს - მახინჯაურის ლიცეუმს მიენიჭოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 10-ით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის №9 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

კახი ყურაშვილი

საბჭოს თავმჯდომარე

გაიანე სიმონია

საბჭოს მდივანი